N 159 14/06/2016

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის - საკრებულოს განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის ლელა საჯაიას

ა ნ გ ა რ ი შ ი

16.05.2016 წ.-დან 16.06.2016-მდე განხორციელებული საქმიანობის შესახებ

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა, ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისია ახორციელებს ,,ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით, საკრებულოს რეგლამენტით და კომისიის დებულებით განსაზღვრულ უფლებამოსილებას.

ზემოაღნიშნულ პერიოდში კომისიამ მოიწვია სამი სხდომა, რომლებზეც განიხილა :

1. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 25 დეკემბრის N43 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ.

მომხს:ლ.საჯაია

თანამომხს:მ.ცელაძე

დღის წესრიგის საკითხთან დაკავშირებით კომისიის წევრებმა დეტალურად იმსჯელეს, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეს სოციალური პროგრამების დაფინანსებაში გათვალისწინებულ ცვლილებებს და მიზანშეწონილად მიიჩნიეს გამგეობის მიერ წარმოდგენილი ცვლილებების პროექტის საკრებულოს სხდომაზე განხილვა და დამტკიცება.

2. გამგეობის კულტურის, სპორტისა და ტურიზმის განვითარების სამსახურის ანგარიში.

მომხს: ნ.ხომერიკი

კომისიის წევრებს მომხსენებელმა 2016 წლის 1 იანვრიდან დღემდე განხორციელებული მუნიციპალური პროგრამების შესახებ ინფორმაცია წარუდგინა.

3. ა(ა)ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სამუზეუმო-საბიბლიოთეკო გაერთიანების დირექტორის ანგარიში მიმდინარე წელში გაწეული მუშაობის შესახებ.

მომხს:რ.მემარნიშვილი

4. კომისიაში შემოსული კორესპოდენციის განხილვის თაობაზე.

მომხს:ლ საჯაია

კომისიის წევრებმა დეტალურად იმსჯელეს,დღის წესრიგის საკითხებზე, აღნიშნეს, რომ ა(ა)ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სამუზეიმო- საბიბლიოთეკო გაერთიანებას მიმდინარე წლის განვლილ პერიოდში მნიშვნელოვანი მუშაობა აქვს

გაწეული. განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეს კომისიაში შემოსული მოქალაქეების წერილების განხილვა- რეაგირებას. განიხილეს ნაგომრის ადმინისტრაციულ ერთეულში მცხოვრებ რუსუდან იოსელიანის განცხადება, რომელიც უსახლკაროა და სჭირდება საცხოვრებელი ფართი, იმსჯელეს გურიანთის ადმინისტრაციულ ერთეულში არსებულ საბავშვო ბაღში დამატებითი ჯგუფის გახსნის თაობაზე შემოსულ განცხადებაზე, ჯგუფის გახსნის მოთხოვნას მხარი დაუჭირა გურიანთის

ადმინისტრაციული ერთეულის საკრებულოს მაჟორიტარმა წევრმა -ბონდო ღლონტმა.

ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღეს ლიხაურის საბავშვო ბაღში შევხვდი. ნამდვილი პროფესიონალებით დაკომპლექტებული პედაგოგიური კოლექტივი საინტერესო, გამორჩეული, დახვეწილი გემოვნებით მომზადებული ღონისძიებებით გვმასპინძლობს ყოველთვის და მოხარული ვარ, რომ ჩვენს სინამდვილეში ასეთი პროფესიონალები ემსახურებიან ჩვენი მუნიციპალიტეტის სოფლებში საბავშვო ბაღის აღსაზრდელებს.

2 ივნისს საკრებულოს განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა, ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისიის სამუშაო ჯგუფი სოფელ გურიანთის საბავშვო ბაღს ვეწვიეთ. მე,როგორც კომისიის ხელმძღვანელი და საკრებულოს წევრები ლალი სიჭინავა, როზეტა სკამკოჩაიშვილი, ინგა დუმბაძე ადგილზე გავეცანით სააღმზრდელო პროცესს. სოფელ გურიანთის საბავშვო ბაღში, ორ ასაკობრივ ჯგუფში 61 აღსაზრდელია. გურიანთის ბაღში სამოთხისებურ სიგრილეს ასწლოვანი მუხა და წაბლი ქმნის, მაგრამ, სამწუხაროდ, ბავშვების გარეთ გამოყვანა საფრთხის შემცველია. ხეებზე ველური ფუტკრის ბუდეებია. გამგებლის მოადგილეს _ გიორგი ღურჯუმელიძეს ვესაუბრე, საქმის კურსშია. დასუფთავების სამსახურის დახმარებით მოხერხდება ამ საფრთხის თავიდან აცილება..

კომისია კომპეტენციის ფარგლებში ეტაპობრივად ყველა საბავშვო ბაღს სტუმრობს, ადგილზე ეცნობა, როგორც სააღმზრდელო პროცესს, ასევე სწავლობს პრობლემებს, რათა ახალ სასწავლო წელს საბავშვო ბაღები კიდევ უფრო კარგი პირობებით შეხვდეს.
საკრებულოს წევრებმა პატარებს საკუთარი სახსრებით სათამაშოებიც შევუძინეთ.

მე და სოფელ ცხემლისხიდის დეპუტატმა, ამავე სოფელში მცხოვრები სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე შალვა შეშაბერიძეც მოვინახულეთ, რომელმაც საჯარო სკოლა წელს დაამთავრა და სწავლის გაგრძელების სურვილი გამოთქვა. მასაც ჩვენივე სახსრებით საჩუქარი გადავეცით. ვფიქრობ, ასეთი ახლგაზრდების გვერდში დგომა ჩვენი ვალდებულებაა, რათა ხელი შევუწყოთ მათ ინტეგრაციას საზოგადოებასთან.

"გურიის ახალგაზრდულ რესურსცენტრში" სამოქალაქო განათლების პროგრამის, "მომავალი თაობის" შემაჯამებელი ღონისძიებას დავესწარი. ღონისძიებაზე პროგრამის პარტნიორ სკოლებში დაარსებულმა სამოქალაქო კლუბებმა განხორციელებული აქტივობების პრეზენტაციები წარმოადგინეს. ოზურგეთის მუნიციპალიტეტიდან დაბა ურეკის, სოფლების: გურიანთის, კონჭკათის, ქვედა ბახვის, მაკვანეთისა და სოფელ ოზურგეთის საჯარო სკოლებში არსებულმა კლუბებმა ის ინიციატივები და მცირე საგრანტო პროგრამები წარადგინეს, რომლებიც 2015 წლის სექტემბრიდან - 2016 წლის ივნისის პერიოდში განახორციელეს. პროგრამის ფარგლებში გამარჯვებული წარმატებული სკოლები, სამოქალაქო განათლების პედაგოგები და მხარდამჭერი ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები, მათ

შორის საკრებულოს წევრი, სოფელ გურიანთის დეპუტატი ბონდო ღლონტი, სიგელებითა და სამახსოვრო საჩუქრებით დაჯილდოვნენ.

მიმაჩნია, რომ ადგილობრივი თვითმმართვლობის მხარდაჭერა და თანადგომა ასეთ მნიშვნელოვანი პროგრამების დაგეგმვასა და განხორციელებაში სახეზეა და სამომავლოდაც ასე გაგრძელდება. ვთვლი, რომ ახალგაზრდები, რომლებიც ჩართულნი არიან ამ პროგრამაში, ეუფლებიან არა მხოლოდ სამოქალაქო განათლებას, ისინი ითვისებენ იმ უნარ-ჩვევებს, რომლებიც გარანტია სამომავლო წარმატებისა და სწორი განვითარების.

საანგარიშო პერიოდში სოფელ მერიის საჯარო სკოლის მოსწავლეთა მშობლების კოლექტიურ წერილს გამოვეხმაურე. ბატონი სლავა თურმანიძის თაოსნობით, მშობლები სოფელ მერიაში საფეხბურთო კლუბის მასწავლებლისთვის მუნიციპალიტეტისგან ანაზღაურების გამოყოფას ითხოვდნენ. მოხარული ვარ, რომ პრობლემა დროებით გადაჭრა სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრომ, ბავშვთა და ახალგაზრდების განვითარების ფონდმა. მუნიციპალიტეტის 8 სოფელსა და მათ შორის სოფელ მერიას ფეხბურთის მასწავლებლისათვის თანხა გადაეცა, ხოლო ბავშვთა კლუბს ბურთები და სხვა სპორტული ინვენტარი.

4 ივნისს სტუმრის სტატუსით მივიღე მონაწილეობა პროექტში _ "ერთი ნაბიჯი ზღვიდან მთამდე" _ რომლის ფარგლებში დაიგეგმა ჯიპ-ტური ურეკიდან გომისმთამდე. სასიამოვნოა, რომ დაბა ურეკი საზღვაო სეზონს რეაბილიტირებული გზით შეხვდება. კურორტზე 4-კილომეტრიანი გზის მშენებლობა დაიწყო. ადგილობრივ და უცხოელ დამსვენებლებს გადაადგილების პრობლემა აღარ შეექმნებათ. ასევე მისასალმებელია საზოგადოების ინტერესი გომისმთის მიმართ. ჩვენს მუნიციპალიტეტს საკმაოდ დიდი პოტენციალი გააჩნია გომისმთაზე საკურორტო ტურიზმის განვითარებისათვის.

კომისია თავისი კომპეტენციის ფარგლებში კვლავაც გააგრძელებს მუშაობას და მოსახლეობის ჩართულობის გაზრდის მიზნით , სისტემატურად განახორციელებს სამუშაო ჯგუფების ვიზიტებს მუნიციპალიტეტის თემებში.

ლელა საჯაია

კომისიის თავმჯდომარე

განათლების,კულტურის,სპორტის,ახალგაზრდულ საქმეთა,ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისია